KARR1378594506419

№13-4924
23 / იანვარი / 2019 წ.

საქართველოს გენერალური პროკურორის
მოადგილეს, ბატონ გიორგი გოგაძეს

საზოგადოებასთან და მასმედიასთან
ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის
მოადგილის, გიორგი გრძელიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის წესის მოთხოვნათა შესაბამისად, ვაცხადებთ სტაჟიორთა კონკურსს, რომლის მონაწილეთა რეგისტრაცია საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე უნდა განხორციელდეს 2019 წლის 01 თებერვლიდან დან 14 თებერვლის ჩათვლით პერიოდში.

სტაჟირების გავლის მსურველთა მოზიდვის, ინფორმაციის ეფექტიანად გავრცელების და სასურველი შედეგების მიღწევის მიზნით მიზანშეწონილია აღნიშნულის დაანონსება ერთ მაღალრეტიუნგულ და ერთ საშუალორეიტინგულ ქართულ სატელევიზიო-საინფორმაციო არხზე საინფორმაციო-სარეკლამო ვიდეორგოლების განთავსების საშუალებით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოების ინფორმირებას, ასევე ნიჭიერი და ახალი კადრების მოზიდვასა და შერჩევის პროცესს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით, საჭიროა, 2018-2019 წლების განმავლობაში სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვის განხორციებეა დანართი N 1-ის შესაბამისად.

გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას აღნიშნულთან დაკავშირებით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საზოგადოებასთან და მასმედიასთან
ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე

გიორგი გრძელიშვილი